ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2388187

ნომერი: AR1369968

თარიღი : 12.01.2016

გაცემის თარიღი : 15.01.2016

გაცნობის თარიღი : 18.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩიკვილაძე პ/ნ 01001013965
- გლდანი, I მ/რ, კორპ.23, ბინა 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ თქვენს მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობას გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან ტერიტორიასთან მისასვლელი გზის მოწყობა იგეგმება თქვენი მიწის ნაკვეთის წინმდებარე ტერიტორიაზე, არსებული ტროტუარის გამოყენებით, რომელიც ქ,თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაა იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით (საჭიროების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან თანხმოიბები უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრება" ველში);

გაითვალისწინეთ: შესაბამისი თანხმობის მოსაპოვებლად ქონების მართვის სააგენტოს უნდა წარუდგინოთ საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, სადაც ასახული უნდა იქნას ძირითადი გზიდან მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მონაკვეთი (შესაბამისი ზომების მითითებით), ასევე სატრანსპორტო მოძრაობის სქემა . სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.